ბორჯომი

23 ივნისი
ხუთშაბათი
2022 წელი
№25 (9235)
ფასი 40 თეთრი

ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

მოლაპარაკებები კონსტრუქციულ რეჟიმში გრძელდება

საქართველოს მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი **ლერი ბარნაბიშვილი** კომპანია „IDS ბორჯომის“ თანამშრომლებსა და პროფკავშირების წარმომადგენლებს შეხვდა.

ლერი ბარნაბიშვილის განცხადებით „ბორჯომის“ გაფიცული თანამშრომლებისგან პრეტენზიები მოისმინა და მათ პრობლემებს გაეცნო.

ბარნაბიშვილის განმარტებით, მოლაპარაკებები კონსტრუქციულ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს და გაფიცულებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არ განახორციელონ რადიკალური ზომები.

- საქართველოს მთავრობისთვის და პირადად პრემიერისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ეროვნული საამაყო ბრენდის „ბორჯომის“ მუშაობა. ამისთვის დაახლოებით აქციების 7.7 პროცენტი გადმოეცა საქართველოს უსასყიდლოდ, რაც არის საფუძველი, რომ ქარხანამ იფუნქციონიროს სრულფასოვნად და 700-მდე თანამშრომელი კმაყოფილი იყოს. რაც შეეხება კომპანიის მენეჯმენტსა და იქ დასაქმებულთა შორის უთანხმოებას, პრემიერ-მინისტრის დავალებით, პროცესში ჩართულია შრომის ინსპექცია, რომელმაც უკვე დაიწყო მოკვლევა, თუ რის საფუძველზე იქნენ გათავისუფლებული თანამშრომლები. რამდენადაც ვიცი, „ბორჯომის“ მენეჯმენტისგან გათავისუფლება ეფუძნებოდა მძიმე ეკონომიურ ვითარებას.

დღეს შევხვდი თანამშრომლებს და მოვისმინე პრეტენზიები. კომპანია ჯერჯერობით არის კერძო სუბიექტი და სახელმწიფო იქ არ მონაწილეობს. ამდენად, სახელმწიფოს აქვს მხოლოდ მედიაციის საშუალება. „ბორჯომის“ ქარხნის მენეჯმენტი გარკვეულ დათმობებზე წავა და მათი მოთხოვნების ნაწილი იქნება დაკმაყოფილებული.

მინდა, ვუთხრა თანამშრომლებს, რომ არცერთი თანამშრომელი არ დაიჩაგრება და ყველა დაკმაყოფილდება შესაბამისად. გადაიხედება ჩვენი ინსპექციის მეშვეობით და ალბათ ნაწილობრივ მოხდება თანამშრომლების აღდგენა. შეხვედრა იყო კონსტრუქციული. გაფიცულებმა მიიღეს გადაწყვეტილება, არ განახორციელონ რადიკალური ზომები და არ გადაკეტონ გზა. მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს კონსტრუქციულ რეჟიმში“, - განაცხადა **ლერი ბარნაბიშვილმა.**

შეხვედრას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე **ირაკლი ნადარეიშვილი,** შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი ბექა ფერაძე, სახელმწიფო რწმუნებული სამცხე ჯავახეთის მხარეში **ბესიკ ამირანაშვილი** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2022 წლის საგამოცდო სამზადისი

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით 2022 წლის გამოცდებისათვის აქტიური სამზადისი მიმდინარეობს. გამოცდების ჩასატარებლად მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე შერჩეულია 22 საგამოცდო ცენტრი.

2022 წლის გამოცდებისათვის სულ რეგისტრირებულია 90 000-მდე გამოსაცდელი (41000-ზე მეტი აბიტურიენტი, 2500-ზე მეტი სტუდენტი, 9500-ზე მეტი მაგისტრანტი, 34500-ზე მეტი მასწავლებელი და მასწავლებლობის მსურველი). ამ რაოდენობის გათვალისწინებით მომზადდა პასუხების ფურცლები და ფურცლები შავი სამუშაოსათვის, ასევე დამხმარე მასალა: რუკები და ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა - მიმდინარეობს მათი დასაწყობება საგამოცდო ცენტრებისთვის.

განაწილდა ცენტრების მიხედვით ჰიგიენური მოხმარებისთვის საჭირო ინვენტარიც. შემოწმდა და ცენტრებში გასაგზავნად უკვე მზადაა ხმის გამაძლიერებლები და ყურსასმენები, კალმები, საინფორმაციო პლაკატები, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გასაწევად კი თითოეული ცენტრისთვის საჭირო მედიკამენტები. ამჟამად მიმდინარეობს გამოსაცდელების განაწილება სპეციალური პროგრამის მეშვეობით.

შემოწმდა და სპეციალური პროგრამით აღიჭურვა ყველა ის კომპიუტერი, რომლებიც გამოყენებული იქნება 2022 წლის გამოცდებისათვის. მათ შორის, უცხოური ენების მოსმენის დავალებებისათვის საჭირო კომპიუტერებიც. მომზადების პროცესშია საგამოცდო სერვერებიც.

ზემოხსენებული ინვენტარი საგამოცდო ცენტრებში გამოცდების დაწყებამდე 10 დღით ადრე გაიგზავნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სამზადისი უშუალოდ საგამოცდო ცენტრებში გადაინაცვლებს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მოამზადა და ტესტირების შედეგად შეარჩია ის მეთვალყურეკურატორები, რომლებიც ცენტრის სხვა თანამშრომლებთან ერთად პროცესს საგამოცდო ცენტრებში ადგილზე წარმართავენ. უკვე შერჩეულია საგამოცდო ცენტრების მიხედვით ადმინისტრატორ-კოორდინატორები, IT მენეჯერები, თანაშემწეები და სხვა ტექნიკური პერსონალი, რომლებიც პროცესში ადგილზე ჩაერთვებიან.

2022 წლის საგამოცდო პროცესის დროულად, შეუფერხებლად და გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები კვლავ აგრძელებენ მუშაობას.

შეგახსენებთ, რომ 2022 წლის გამოცდები 4 ივლისს ერთიანი ეროვნული გამოცდებით დაიწყება.

ქუჩა დამშვენდება დეკორატიული მოაჯირით

ბორჯომში, აღმაშენებლის ქუჩაზე, დეკორატიული მოაჯირის მოწყობა მიმდინარეობს.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 227 000 ლარით ფინანსდება.

ბორჯომის მერიის მიზანია ქალაქის იერსახის მოწესრიგება და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

მნარე შეძახილი ევროპარლამენტს

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს!“

საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა რომ ამ დღეებში ნორმაგადაჭარბებულია და, უახლოეს მომავალში, კიდევ უფრო მოიმატებს, ეს სწორედ ევროკავშირს (და არა მარტო) მაღალჩინოსანთა, რბილად რომ ვთქვათ, „გულმავიწყობას“(?!) შეიძლება მივაწეროთ. უფრო მეტიც, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი(!) ნაწილის თვალში, მათ ობიექტურობასაც პაწა უნდობლობაც შეემატა. მისი ქალბატონი ურსულა და კოლეგა-კომისრები ეგებ, გაოცდნენ კიდეც, ეჭვები რატომ გრღნიანო.

რატომ და იმიტომ, რასაც ქვემოთ კომპეტენტური პიროვნების - ნათია ღვინიაშვილის პოსტში წაიკითხავთ: მხოლოდ ფაქტები!

დიახ, მხოლოდ ფაქტები, თანაც, ჩვენი მოგონილი კი არა, ავტორიტეტული საერთაშორისო სტრუქტურების მიერ აღიარებული.

თხოვნა მაქვს: ევროკავშირის მთავარ ინფორმატორს, მუსიკოსსა და მომღერალს, წარმოსადეგ და სიმპათიურ ელჩს, ბატონ კარლ კერცელს გადაუთარგმნოს ეს ფაქტები საგარეო საქმეთა სამინისტრომ!

საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენმა ელჩებმა კი ყველა ევროპული ქვეყნის საგარეო უწყება ამ მასალით „გაანათლოს“ და მერე ადეკვატური შეკითხვა დასვას: რატომ?.. რისთვის „გვსჯიან“ ასე „უტიფრად“?..

„გაანათლონ“ იმიტომ კი არა, რომ მართლა „ბნელა“ და არ იციან ეს „სიმართლე“, არამედ იმიტომ, რომ დიპლომატიურად, ტაქტით „პირში მიახალონ“ მწარე სიმართლე და მიანიშნონ: საქართველოში ბრმა და ყრუ არვინ არის, წერა-კითხვაც ვიცით და კომპიუტერის ხმარება. კალკულატორისაც!

მახსოვრობასაც არ ვუჩივით: არ ვივიწყებთ მათ, ვინც ცდილობს, ჯიუტი და უდიერი ბავშვივით თავში წამოგვარტყას და დაგვტუქსოს; გვახსოვს ისიც და ისინიც, ვინ და რატომ გვითხრა უარი ერთა ლიგაში გაწევრებაზე; რა დაგვავიწყეს 1918-21 წლებს“.

ეჭვი „გვიღიტინებს“: მაშინაც და ახლაც მიზეზი ერთია, „ბებერ ევროპას“ ეშინია(!!!) „დათვის“ გაღიზიანების და საკუთარ „ჩასვრას“ და კიდევ სხვა „რაღაცეებს“(!!!) ფარავს დემაგოგიური „ლაი-ლაით“, ბრალდებების და დატუქსვის ელფერი რომ დაჰკრავს. ღიმილის მომგვრელია მომიზეზებაც: დემოკრატული რეფორმები და პოლარიზაცია კი არა... კვახ! ეს არის და ეს!

ახლა კი გაეცანით ქალბატონ ნათია ღვინიაშვილის პოსტიდან ამონარიდს, რომელიც აცამტვერებს ყველას თუ არა, ძირითად „ბრალდებებს“ მაინც, რომლებიც გაისმა ევროკავშირში გამართულ ბრიფინგზე:

ა) იუსტიციის რეფორმა: მსოფლიო სამართლიანობის პროექტის (World, Jus— tice Project) მონაცემებით: საქართველო - 49-ე ადგილი 139-დან, უკრაინა - 74-ე, მოლდოვა - 73:

ბ) კორუფცია: საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) მიერ გაზომილი კორუფციის აღქმის ინდექსი 202: საქართველო - 45-9 ადგილი, უკრაინა - 122-ე, მოლდოვა: 105 გ) ორგანიზებული დანაშაულიო: მსოფლიოს კრიმინალური ინდექსის მი ხედვით: საქართველოს აქვს 23,38 ქულა, უკრაინას - 47,42, მოლდოვას - 46,35 (ყველაზე მაღალი კრიმინალის დონეა ვენესუელაში - 83,76).

დ) სიტყვის თავისუფლება 2021 (რეპორტიორები საზღვრების გარეშე Re porters Without Borders: საქართველო მე-60 ადგილი, უკრაინა - 97, მოლდოვა - 89; პრესის თავისუფლება (მსოფლიო ბანკი World Bank): საქართველო 28,64, უკრაინა - 32,96, მოლდოვა: 31,61. (საუკეთესო მსოფლიოში არის ფინეთი - 6,99)“.

ნუგზარ ფოფხაძე

მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა

20 ივნისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** უძღვებოდა.

კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 2 საკითხი:

- **ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.**
- **ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.**

მიმდინარეობს პლაბოს გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბორჯომი-ბაღი-ტბა-ცემის საავტომობილო გზაზე 6.5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.

სარეაბილიტაციო მონაკვეთი იწყება ქ. ბორჯომის ცენტრალური პარკის შესასვლელიდან, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბორჯომი-ბაღი-ტბა-ცემის საავტომობილო გზის დასაწყისში და სრულდება სოფელ სადგერის ტერიტორიაზე. აღნიშნული მონაკვეთი საკურორტო ზონაში გადის და ამ გზაზე საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

პროექტის შესაბამისად განხორციელდება, გზის ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესება, საგზაო სამოსის რეაბილიტაცია, კიუვეტებისა და არსებული ხელოვნური ნაგებობების (მილების, ტროტუარების სანიაღვრე ქსელის) შეკეთება და ახლების მოწყობა, გზის სავალი ნაწილის გაგანიერება, ადგილობრივ გზებთან მიერთებების და მოსახლეობის ეზოში შესასვლელების ახლიდან მოწყობა, სავალი ნაწილის მონიშვნა, საგზაო ნიშნების და შემოფარგვლის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს ავტომობილების და ფეხით მოსარულეთა უსაფრთხო მოძრაობას. განახლებული გზა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აქ მცხოვრები ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობებს.

პროექტი, სახელმიწფო ბიუჯეტიდან 3.4 მლნ. ლარით ფინანსდება და სამუშაოების დასრულება მიმდინრე წლის შემოდგომაზე იგეგმება.

ევროკომისიის 12 მოთხოვნა, რა უნდა გააკეთოს საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღწევად?!

ევროკომისიის დასკვნით, საქართველომ უნდა მიიღოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა. თუმცა, უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, კანდიდატის სტატუსისთვის, 12 მოთხოვნა უნდა შეასრულოს. ევროკომისიის რეკომენდაციით, საქართველო წევრობის კანდიდატი გახდება თუკი:

- **აღმოფხვრის პოლიტიკურ პოლარიზაციას.** ამ საკითხებზე უნდა იმუშაოს ყველა პარტიამ, „19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთების დაცვით“;
  ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი გამართულად იმუშავებს. გაიზრდება მათი დამოკიდებულება, ანგარიშვალდებულება და დემოკრატიული ზედამხედველობა მათზე. **ხელისუფლება გაითვალისწინებს ეუთო-ოდირის, ევროპის საბჭოსა და ვენეციის კომისიის დასკვნებს საარჩევნო სისტემაზე;**
- მიიღებს გამჭვირვალე და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. დაიწყებს მის განხორციელებას. **„უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის მთლიან და ჭეშმარიტ დამოკიდებულებას, ანგარიშვალდებულებასა და მიუკერძოებლობას“.** ამ პროცესში სხვა პოლიტიკური პარტიებიც უნდა ჩაერთონ. სასამართლო ინსტიტუტებმა და პროკურატურამ დამოუკიდებლად და გამჭვირვალედ უნდა იმუშაონ. მოსამართლეები და იუსტიციის უზენაესი საბჭოს წევრები ასევე გამჭვირვალედ უნდა ინიშნებოდნენ;
- გააძლიერებს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობას და **ეფექტიანად გამოიძიებს ელიტური კორუფციის შემთხვევებს.** გააძლიერებს სპეციალურ საგამოძიებო და პირადი მონაცემების დაცვის სამსახურებს. უზრუნველყოფს მათ ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას;
- აიღებს და შეასრულებს „დეოლიგარქიზაციის“ ვალდებულებას. **აღმოფხვრის იმ გადაჭარბებულ ზეგავლენას, რომელიც პირად ინტერესებს აქვთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაზე;**
- გააძლიერებს ბრძოლას ორგანიზებულ დანაშაულთან და ეფექტიანად გამოიძიებს სამართალდარღვევებს, სამართალდამცავი ორგანოები იქნებიან ანგარიშვალდებულები და გამჭვირვალე;
- შექმნის თავისუფალ, პროფესიონალურ და დამოუკიდებელ მედიაგარემოს. **„სამართალწარმოება მედიასაშუალებების მფლობელების წინააღმდეგ უპასუხებს უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებს“.** ხელისუფლება ეფექტიანად და დროულად გამოიძიებს ჟურნალისტებზე ძალადობის საქმეებს;
- **სასწრაფოდ დაიცავს მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს.** ეფექტიანად გაასამართლებს მათზე მოძალადეებს და ამ ძალადობის დამკვეთებს;
- „გააერთიანებს ძალისხმევას“ გენდერული თანასწორობისთვის და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან საბრძოლველად;
- ჩართავს სამოქალაქო საზოგადოებას გადაწყვეტილებების მიღებაში „ყველა დონეზე“;
- მიიღებს კანონს, რომელიც უბიძგებს ქართველ მოსამართლეებს, „პროაქტიურად გაითვალისწინონ საკუთარ მსჯელობებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებები“;
- **ახალ სახალხო დამცველად დაინიშნება დამოუკიდებელი ადამიანი.** დანიშვნა იქნება გამჭვირვალე, მისი სამსახური - ზეგავლენისაგან თავისუფალი.

***

ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურზულა ფონ დერ ლაიენმა კომისიის შეფასების წარდგენისას თქვა, რომ საქართველოსთვის **„ევროპის კარი ღიაა და ახლა ჯერი მასზეა“.** გადაწყვეტილება საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის, (ხოლო უკრაინისა და მოლდოვისთვის - პერსპექტივასთან ერთად, კანდიდატის სტატუსის) მინიჭებაზე უნდა მიიღოს ევროპულმა საბჭომ, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის 27-ვე წევრი ქვეყნის ლიდერს. მათი შეხვედრა 23-24 ივნისს, ბრიუსელში გაიმართება. ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ საბუთში ნათქვამია, რომ კომისია შეაფასებს საქართველოს პროგრესს 2022 წლის ბოლოს.

პარკინგი ფასიანი უნდა გახდეს!

დღემდე გადაუჭრელი პრობლემა

ჩვენო მკითხველო, დაგვეთანხმებით, ჩვეულებრივ ცოცხალ ადამიანს და ორგანიზმს მუდმივად ესაჭიროება ზრდა-განვითარება და სრულყოფა, ასევე უნდა განვითარება ქალაქსა და სოფელს, რადგან, რაც არ უნდა სრულვყოთ მშობლიური კუთხე, მომავალ წელს ცხოვრება ახალი პრობლემების გადაწყვეტას გვავალდებულებს. ამის მკაფიო დასტურად გამოდგება საზოგადოება „ბორჯომელების“ ამას წინანდელი შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობასთან, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებმა საკურორტო სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელებს სათანადო რეაგირებისათვის გადასცეს მთელი **რიგი პრობლემური საკითხების ჩამონათვალი, როგორიცაა ქალაქში ავტოტრანსპორტის პარკირების, გარე ვაჭრობის, უხარისხო მშენებლობების, სანიტარიული წესრიგის გაუმჯობესების, უზედამხედველო ძაღლებისაგან მოქალაქეთა დაცვის, სკვერების აღდგენა-განახლების, ქალაქის გამწვანების საქმეში არსებული პრობლემების, დასაქმების, კოსტავას სახელობის პარკის რეკონსტრუქციის დაჩქარების, ისტორიული პარკის სეზონისათვის სათანადოდ მომზადების და სხვა აქტიური საკითხების გადაწყვეტა.**



საზოგადოების წევრებმა სხვა აქტუალურ საკითხებზეც გაამახვილეს ყურადღება, ქალაქის ხელმძღვანელობამ ყველა საკითხი ჩაინიშნა და შეგვპირდა, თანდათანობით ყველა პრობლემის საფუძვლიანად შესწავლას და გადაწყვეტას.

დღეს გვინდა ქალაქში (ისე როგორც ბაკურიანში) არსებულ უსაშველოდ მომრავლებულ ავტოტრანსპორტის პარკინგის სფეროში არსებულ ნაკლოვანებებზე გესაუბროთ.

დავიწყოთ იმით, რომ რიკოთის უღელტეხილზე ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით ბორჯომის ხეობაში საგრძნობლად გაქტიურდა მძიმეწონიანი ტრაილერების მოძრაობა და ამ მანქანებმა სერიოზული პრობლემები შექმნა ჩვენს ხეობაში. დღეს ჩვენს ვიწრო საავტომობილო გზებზე საათში 60-70 მძიმეწონიანი ტრაილერები მოძრაობენ, რომლებიც სერიოზულად აზიანებენ როგორც ავტოტრასას, ასევე გამონაბოლქვით წამლავენ გარემოს.

თურქეთის ტრაილერებით გადატვირთულ საავტომობილო გზას დაემატა საკურორტო სეზონზე ავტოტურისტების მომრავლებაც. ამ ყველაფერს დაუმატეთ ადგილობრივი მცხოვრებლების საკუთარი ავტომანქანებიც და მკაფიოდ მიხვდებით თუ როგორი „ჯოჯოხეთი“ იქმნება როგორც ავტოტრასაზე, ისე ჩვენ ქალაქის ვიწრო ქუჩებში. ქუჩები სავსეა თვითნასწავლი მძღოლებით. ორი-სამი კილომეტრის გავლა ფეხით აღარავის უნდა, ყველა მსუბუქ ავტომანქანით გადაადგილდება ქალაქში თუ სოფელში. ყველა მეორე-მესამე ოჯახს საკუთარი მანქანა აქვს, რაც სიმდიდრედ აღარ აღიქმება. (არადა, იყო დრო, როცა პატეფონი, საათი, რადიომიმღები, სარეცხი მანქანა, მაცივარი და ა.შ. მხოლოდ მდიდრებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს ქონდათ). ცხოვრება წინ მიდის და ჩვენ თვალწინ ბევრი რამ სასიკეთოდ იცვლება, (თუმცა ევროპული ცხოვრების დონისაგან ჯერჯერობით შორს ვართ). დღეს მოსახლეობის ერთ ნაწილს წუწუნი და ბუზღუნი კარგად აქვს დაცდილი, გაძვირებულ ბენზინზე, პროდუქტებზე, დაბალ შემოსავალზე და გაჭირვებაზე ამახვილებენ ყურადღებას და ეს გასაკვირი სულაც არაა, რადგან უმრავლესობის ფინანსურ შემოსავალსა და საბაზრო ფასებს შორის დიდი განსხვავებაა. განსაკუთრებით საგულისხმოა მსუბუქ ავტომფლობელთა დამოკიდებულება პარკინგისადმი. გასაკვირია მაშინ, როცა ერთი ლიტრი საწვავი ოთხ ლარს აცდა, რა აუცილებელია ორსამ, თუნდაც ხუთკილომეტრიანი გზის გასავლელად საკუთარი მანქანით სარგებლობა, როცა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ბორჯომში და მის დაბა-სოფლებში საგრძნობლად გაიაფებულია და არც თუ ურიგოდ ემსახურებიან ადგილობრივ მოსახლეობას. (საქართველოში საზოგადოებრივი საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილება ბორჯომში ყველაზე იაფია).

ფაქტია, დღეს ბორჯომისა და ბაკურიანის ისედაც ვიწრო საავტომობილო გზები გადატვირთულია ტრანსპორტით. მოუგვარებელია პარკირების საკითხი. ამას ემატება ავტოპარკის ყოველწლიური ზრდა (ამდენი კერძო ტრანსპორტი ბორჯომში არასოდეს ყოფილა). ათწლეულების წინ ფორმირებული ავტოტრასა და ქალაქის ქუჩები ვეღარ ატარებს მომრავლებულ ტრანსპორტს, მოძველებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, პარკინგის არ არსებობა შეუძლებელს ხდის ტრანსპორტის გამართულ მუშაობას.

ქალაქის ცენტრში არსებულ შინმოუსვლელთა მემორიალიდან მერიის შენობამდე დილიდან გვიანობამდე ფაქტიურად, მთელი დღის განმავლობაში უსაქმურადაა ჩამწკრივებული მსუბუქ მანქანები, (ხშირად კერძო მანქანები კვირაობით და თვეობით ქუჩაში აყენია). ისედაც ვიწრო ქუჩაზე ხშირად იქმნება საავარიო სიტუაცია და შემხვედრ ტრანსპორტს უჭირს გვერდის ავლა. ასეთივე სიტუაციაა ისტორიული პარკის შესასვლელთან, 9 აპრილის ქუჩაზე, კოსტავას და რუსთაველის მოედნებს კვადრაციკლების მეპატრონეები დაეპატრონენ, გარემოვაჭრეების გამო საზოგადოებრივ ავტობუსებს და ტაქსებს სერიოზულად უჭირთ მოძრაობა.

თვალნათლივ იგრძნობა საგზაო ინფრასტრქუტურის ნაკლებობა, ხშირად მსუბუქ მანქანები ტროტუარებზე დგას და ფეხის მოსიარულეებს ტრანსპორტის სავალ ნაწილზე უწევთ გადასვლა.

როგორც ჩანს, საწვავის გაძვირებამ არანაირი გავლენა არ მოახდინა ტრანსპორტის შემცირებაზე.

კერძო ტრანსპორტის მომატებით და შექმნილი სიტუაციით ქალაქის ხელისუფლება ნამდვილად შეწუხებულია და სერიოზულად ფიქრობს პრობლემის გადაწყვეტისათვის. ეს ასეც უნდა იყოს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბორჯომში არანაირი პარკინგი არ არსებობს. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ თბილისში არსებობს ტრანსპორტის პარკინგისათვის გადასახადი, რატომ არ შეიძლება ბორჯომშიც დაწესდეს საათობრივი გადასახადი, რაც მნიშვნელოვნად შეაცირებს ქალაქის ქუჩებში ტრასპორტით ჩახერგილობას.

ვგონებ ღირს ამ საკითხით დაინტერესება!

ვალერიან ლომიძე.

რა ღირს ბორჯომში დასვენება?

ყოველდღიურად იზრდება დამსვენებელთა რაოდენობა ბორჯომის ქუჩებში. სასტუმროებში თანამშრომელთა შერჩევის ეტაპიც თითქმის დასრულებულია. უკვე რეგულაციების გარეშე თამამად შეუძლიათ სიმშვიდისა და მხიარულების, ექსტრემისა და თავგადასავლების მაძიებლებს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ეწვიონ ბორჯომს გაერთონ და დაისვენონ მორგებული ფასისა და სურვილის შესაბამისად.

ბორჯომში ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების მომსახურეობით, მუდმივად სარგებლობენ და მათი მომხმარებლები თანხებს ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, ღამეში იხდიან 200, 300 დოლარს და გასათვალისწინებელია, როგორია დაჯავშნული ნომრის მდებარეობა, სურს კვება, თუ მხოლოდ საუზმით შემოიფარგლება.

საოჯახო სტილის, ე.წ. სტუდიოს ტიპის ბინების ფასები ქალაქის ცენტრში 80 ლარიდან 100 ლარის ფარგლებში მერყეობს დღიურად, ხოლო ბორჯომის ცენტრალურ-ისტორიული პარკის მიმდებარედ აღნიშნული ფასები პირობების შესაბამისად 100 ლარიდან იწყება. ადგილობრივები პირდაპირ თანხის დასახელებას ჩვენთან საუბრისას ერიდებიან, თუმცა გამოკითხული დამსვენებლებისგან სხვადასხვა პასუხები მივიღეთ და ფასებიც შესაბამისად განსხვავდებოდა. უცხოელები აღნიშნავდნენ, რომ მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს დასვენებაში თანხის ხარჯვა, გამოკითხვისას ძირითადად უკრაინელი, რუსი, არაბი, აზერბაიჯანელი და ყაზახი მოქალაქეები გვხვდებოდნენ, უმრავლესობა გამოკითხვაში მონაწილეობის სურვილს არ გამოთქვამდა. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ქალაქიც და ქვეყანაც მათი გონიათ. ასეა, როდესაც ქვეყნის მოქალაქის კაფეში სტუმრობისას იციან, რომ სოლიდურ თანხას არ ან ვერ დახარჯავენ და უცხოელი ტურისტის მომლოდინე თავისუფალ ადგილზეც შეიძლება გითხრან, დაკავებულიაო. საკუთარი მოქალაქეები, რომ ბევრის მქონენი არ არიან იციან ბიზნესმენებმა და ბზნესკუმერებმა, ამიტომ ასე უჯობთ ისევ და ისევ საკუთარი და ფინანსური კეთილდღეობისთვის, მათი ერთადერთი შემოსავლის წყაროც ხომ ეს სამი სეზონური თვეა, რომელსაც მაქსიმალური წყურვილის სურვილით ეწაფებიან. ხსნიან მათ გემოვნებასა და კერძებზე მორგებულ კაფე-ბარებს. აბა, ქართველი, გამონაკლისების გარდა, რა ფულის მხარჯველია, ან გადამხდელი. ვაი, რომ ვიცით, ჩვენი ქვეყნის ღარიბ-ღატაკობის ამბები, სწორედ ამიტომ ჯერ სხვას, ფულიანს პატივს ვცემთ და შემდეგ შენს გატყავებული მელის პოზიციიდან, საკუთარს.

მეგობარი - თიკო ბარამიძე მწერდა, რომელიც ბორჯომში აპირებს ჩემთან რამდენიმე დღით დასვენებას.

- თანამშრომლებთან, რომ ვთქვი ბორჯომში უნდა დავისვენო-მეთქი, ასე მითხრა, რა იშოვე ამდენი ბორჯომში რომ მიდიხარ დასასვენებლადო. აშკარად იფიქრეს, ჩუმად გავმდიდრდი და ვმალავო.

ასეა, ბორჯომში დასვენება ძვირადღირებული სიამოვნებაა, განსაკუთრებით საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომელთა შემოსავალი მაღალი ანაზღაურებით არ გამოირჩევა.

გარეუბნებში (ცემი, სადგერი, ტბა, ვაშლოვანა, ყვიბისი, ახალდაბა) აქ, დასვენება ბევრად ხელმისაწვდომ ფასად შეიძლება (40-50 ლარად) და როგორც ხუმრობით ხშირად ამბობენ, არა თირკმლის ფასად.

ამჯერად, ბორჯომში ბინის ფასების შესახებ მოგაწოდეთ ინფორმაცია, თუ რა თანხებს უკავშირდებოდა ჩვენს საკურორტო ქალაქში დასვენება და რამდენიმე დღით სტუმრობა. მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ რა თანხაა საჭირო ბორჯომში ერთი დღით ბავშვებთან ერთად გასასეირნებლად და შემეცნებითი დღის მოსაწყობად.

იზა იანვარაშვილი

დაგვიანებული სიტყვა სამშობლოს

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში დაბა წაღვერის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგ მონიკა ჭანტურიას ხელმძღვანელობით მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „დაგვიანებული სიტყვა სამშობლოს“ წარმოადგინეს.

როგორც ქალბატონი მონიკა ბრძანებს: **„დაგვიანებული სიტყვა ვუთხარით სამშობლოს“** ჯერ კიდევ ილია რომ თვალს გვიხელდა და მამხილებელ სიმართლეს გვეუბნებოდა, აი, იქიდან! **(„მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია-ადამიანი?!“** დიახ, ილიასეული საქართველო როზგებქვეშ გატარებული, დაბეჩავებული და დამონებული იყო. პეტერბურგიდან სამშობლოსაკენ მომავალი მწერალი, საქართველოს საზღვრებთან მომდგარი კითხვას სვამდა: **„როგორ შევეყრები მე ჩემს სამშობლოს და როგორ შემეყრება იგი მე.... რას ვეტყვი მე ჩემს სამშობლოს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს როგორც უცხო ნიადაგზე გადარგულსა და აღზრდილსა? იქნებ ზურგიც არ შემომაქციოს, იქნებ მიმითვისოს კიდეც...“** არა, მამულს ილიასთვის ზურგი არ შეუქცევია, მაგრამ საქმე კი მოსთხოვა, საკუთარი გულისტკივილი გაანდო და გლოვის ფარული მიზეზიც უთხრა, გულზე მიიკრა თავისი შვილი. და ილიამაც ხარბად დაუგდო ყური. ასე თუ ისე შეძლო - ღვიძლი სიტყვის თქმა, ამ სიტყვით კი ოდნავ მაინც მოურჩინა გულისტკივილი სამშობლოს. ბოლომდე დავრდომილი ვერ აღადგინა, მაგრამ მისმა სიტყვამ ქართველს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სურვილი გაუღვიძა...

წაღვერის სკოლის მოსწავლეები ილიას ენით ელაპარაკებოდნენ დამსწრეთ. აცოცხლებდნენ რუს „იამშჩიკს“, „ოფიცერს“... ეს უკანასკნელი რომ ამბობდა: „ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს, საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას“ და როგორ დაამყარა ეს ცივილიზაცია, კარგადაც დავინახეთ.

მოსწავლეებმა წარმოთქვეს **ბესიკ სარანაულის, ტარიელ ხირხალაურის, ლაშა გახარიას, ედა გოჩიაშვილის, მარიამ წიკლაურის, ნინო ქადაგიძის, გიორგი ლობჟანიძის, დარიკო ფიფიას, ნოდარ გრიგალაშვილის, ნუკრი ბერეთელის** და სხვათა რჩეული ლექსები.

ეს დღე არასდროს დაავიწყდებათ მონაწილეებს. „მარცვალი უკვე ჩაყრილია, თუ ვისში რა ნაყოფი აღმოცენდება, ეს უკვე დროის და ამ ახალგაზრდების მონდომების საქმეა! ბავშვებო, თქვენ გესმით თქვენი ქვეყნის და მადლობა ამისთვის,“ - ესეც მონიკა მასწავლებლის სიტყვებია. მას ეიმედება, რომ ლექსებში განვითარებული პატრიოტული გრძნობა მოსწავლეებს გაუთამაგდებათ, წინაპართა მსგავსად იღვაწებენ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. ქვეყანაც შეისმენს სიტყვას, რომელსაც სულ ვაგვიანებთ, ხვალინდელ დღეზე ზრუნვა ხომ ისევ ახალგაზრდობას ეკუთვნის.

პედაგოგი **მალიდა პერანიძე** მონიკა ჭანტურიასადმი მიმართვისას ამბობს: **„მიყვარს შენი ხედვა, შენი ქართული სული, შენი პატრიოტიზმი მეამაყება, დარწმუნებული ვარ, ვისაც შენს ხელში გაუვლია,... მას ყველაზე კარგად ექნება გააზრებული სიტყვა პატრიოტიზმის მნიშვნელობა. კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი, უფრო ხმამაღლა“.**

მართლაც, დარბაზი სულგანაბული უსმენდა მოსწავლეებს. დასრულდა ღონისძიება, მაგრამ ამის შეგრძნება არავის ჰქონდა, კიდევ რაღაცის მოლოდინში იყო ყველა. მონიკა მასწავლებლის მხოლოდ ერთი სიტყვა - **„მადლობა“** - თითქოს არა კმაროდა...

ისევ ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს დავესესხები, მისი სიტყვებით ავალაპარაკებ წაღვრელ მოსწავლეებს!

„ვაუებო, ვისაც გაქვთ გული.
და გულში ლავა ხმაურობს,
ვალია ჩვენი მამული
რომ ჩვენვე გავამთლიანოთ“.

ბასიკო საჩიკაძე

სალოტბარო სკოლა - ფესტივალზე

გასულ კვირას ბორჯომის სალოტბარო სკოლის ახალგაზრდები და ლოტბარი **ლელა მუხურაძე** კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრთან - ქალბატონ **თეა წულუკიანთან** შეხვედრაზე ბრძანდებოდნენ, სადაც მედიით კიდევ ერთხელ აუწყეს, რომ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის 13 სხვა მუნიციპალიტეტის სალოტბარო სკოლის აღსაზრდელებთან ერთად 20 ივნისს ჩათვლით ეწვეოდნენ ანაკლიას ფესტივალზე სახელწოდებით „მომავლის ხმები“. მართლაც, 17 ივნისიდან გაემგზავრნენ ანაკლიაში, სადაც კულტურულ-შემეცნებითი აქტივობებით დატვირთული დღეები გაატარეს. ყველა დღე საინტერესო და შინაარსიანი იყო. პირველ დღეს ესტუმრნენ ზუგდიდში დადიანების სასახლეს, შემდეგ კი ანაკლიის მოხალისე-ლიდერებმა საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. მონაწილეების დაბინავებისა და დასვენების შემდეგ, ერთმანეთის უკეთესად გაცნობისა და დაახლოების დრო დადგა. ისინი გადანაწილდნენ სხვადასხვა გუნდში, რომლებიც მოხალისე-ლიდერებმა ჩაიბარეს. მოეწყო შემეცნებითი ხასიათის თამაშობები. საღამოს სალოტბარო სკოლებმა საკუთარი გუნდებზე პრეზენტაცია მოაწყვეს. ლიდერებმა, შემოქმედებითი კუთხით უკეთესად წარმოჩინებისთვის საცეკვაო და სასიმღერო ნომრები წარმოადგინეს. მეორე დღის ადრიანი დილა ვარჯიშით დაიწყეს. განტვირთვის საათი განმუხურის ხიდზე სიმღერ-სიმღერით გადალახეს. საღამო კიდევ უფრო აქტიურად წარიმართა. ძალიან საინტერესო მასტერკლასი ჩაატარა მესტიის სალოტბარო სკოლის ლოტბარმა და ანსამბლ „რიჰოს“ ხელძღვანელმა ვახტანგ ფილფანმა, რომელმაც სვანურ ყოფაზე, ტრადიციებზე, წეს-ჩვეულებებსა და ფოლკლორზე ბევრი უამბო ბავშვებს. მესტიის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა სვანური ფოლკლორის ნიმუშიც იმღერეს. ამ დროს, როცა ამინდიც უმართლებთ და გართობას მოწყურებული ახალგაზრდები აუზში გაგრილებასაც ახერხებენ წარმატებით. ცხოვრების ჯანსაღი წესიც არ დავიწყნიათ: ცოტა კალათბურთი და ფრენბურთი, ბევრი ფეხბურთი, როცა იმარჯვებს მეგობრობა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ასეთ საჭირო პროექტებს ახლავს, ის არის, რომ ყველა კუთხის წარმომადგენლებმა ერთმანეთი გაიცვნეს, შეიყვარეს, იმღერეს; ერთად ცეკვავდა რაჭველიც, მეგრელიც, სვანიც, აჭარელიც და მესხიც. პრეზენტაციის დასასრულს, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა **გიორგი დონაძემ** ფესტივალის მონაწილეებს - სალოტბარო სკოლების მოსწავლეებს, ლოტბარებს, მხარდამჭერებსა და ორგანიზატორებს, ფესტივალის წარმატებით, საინტერესოდ, სახალისოდ და უსაფრთხოდ წარმართვისთვის, მადლობა გადაუხადა. ასეთი დღეები სჭირდებათ ჩვენს ახალგაზრდებს: თან შემეცნება მარგალიტივით გასაფრთხილებელი ფოკლორისა და თან დასამახსოვრებელი აქტივობებით დატვირთული.

მონიკა ჭანტურია

ვიცოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია

სად მდებარეობს ისტორიული თორი?

„მერმედ კუალად გარდავიდა მეორე წელსა ბაგრატ მეფე (იმერეთის) სამცხეს, წარმოასვენა აწყურისა ღვთისმშობელი ციხისჯვარსა და ვერღარა დაიპყრა სამცხე, ვინაიდან ციხენი სრულიად დაეპყროთ ოსმალთა“.

აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი წერს: - გიორგი რუსის აჯანყების დროს გეგუთიდან განდგომილები თბილისზე წამოვიდნენ „ნახევართა დადიანისა წინამძღოლობითა გარდაიარა რკინის ჯვარი და ჩავიდეს ციხისჯვარსა და დაწყეს ქალაქი ოძრიხე“.

მატიანე ქართლისა: - „ხოლო ბაგრატ-ძე აფხაზთა მეფისა დემეტრესი შესრულ იყო საბერძნეთად, კონსტანტინეპოლედ და მისცა ბერძენთა მეფემან ლაშქარნი და მიგზავნა ზღვით და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად და მოკლა ადარნასე, ძე იოვანესი და დაიპყრა აფხაზეთი და შეირთო ცოლი მისი ცოლად, ასული გვარამისი და გამოიყვანა ბაგრატ აფხაზთა მეფემ ნასრა, ცოლისძმა მისი საბერძნეთით და მისცა ლაშქარი მისი, ხოლო ნასრა შეიპყრნა **სამნი ციხენი სამცხეს, ოძრხე, ჯვარისციხე (ანუ ციხისჯვარი) და ლომსიანთა გუარამისვე აღშენებული**“.

ყველა ზემოთ აღნიშნული ტექსტი ადასტურებს, რომ მეორე ციხისჯვარი სამცხეშია და გარკვეულ პერიოდში ჯაყელთა რეზიდენციას წარმოადგენს.

ისტორიკოსი დევი ბერძენიშვილი თავის სტატიაში „ნარკვევები საქართველოს ისტორიული ეთნოგრაფიიდან“ თორის ციხისჯვარზე საუბრის დროს აღნიშნავს: - **„ციხისჯვარი მეორეც იყო - სამცხისა - ქართულწყაროებში უმეტესწილად მასზეა საუბარი XI-XIV სს.**

წიგნში კიდევ რამდენიმე უზუსტობაა, რომელშიც არ შეიძლება არ აღვნიშნოთ. ავტორი წერს: - 1234 წლისათვის იხსენება **შალვა თორელის უფროსი შვილი გამრეკელ თორელი (ეს გამრეკელ მეორეა), რომელიც დროებით მონღოლებს „მინდობია“, შემდეგ კი 1245 წლისთვის მონღოლებს მისთვის საგამგებლოდ მიუცია (სამცხე, ჯავახეთი, ვიდრე კარნუ ქალაქამდე“ შალვა თორელ ახალციხელს ჰყავდა მხოლოდ ერთი ვაჟი ფარადავლა, რომელიც ისენება ყამთააღმწერელთან რუმის სულტნის ყიასედინის ლაშქარში მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს. რაღაც მიზეზით სულტანმა მოაკვლევინა ფარადავლა. განძანის ეკლესიებზე (ორი ეკლესია) გაკეთებულ წარწერებში შალვა თორელს ყავს ერთი ძმა და ერთი ვაჟი.**

როდესაც ბაგრატ IV-ს სულა კალმახელმა და სხვა მესხმა აზნაურებმა დატყვევებული ლიპარიტ ბაღუაში მიგვარეს, მადლიერმა მეფემ სულას უბოძა მამულობით ციხისჯვარი და ოძრხე ბოდოკლით და სხვანიცა, რაც არასწორია.

უაღრესად საინტერესოა წიგნის ავტორის მოსაზრება ისტორიული თორის ადგილმდებარეობის შესახებ: მომყავს მისი მოსაზრება და არგუმენტაცია ზუსტად ტექსტის მიხედვით:

„სახელწოდება - თორის მხარე ანუ „თორის ოლქი“ დაბა თორიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ამ მხარის ადმინისტრაციული ცენტრი იყო და თორელთა საგვარეულო ადგილსამყოფელს (რეზიდენციას) წარმოადგენდა. სად მდებარეობდა ისტორიული თორი? ბორჯომის ხეობაში დღესაც არსებობს თორი (მდებარეობს იგი ბაკურიანიდან დასავლეთით 8 კილომეტრის მანძილზე. მაგრამ მდებარეობდა თუ არა ძველი (ისტორიული) თორი დღევანდელი თორის ადგილზე. მიჩნეულია, რომ ძველი თორი სწორედ ამ ადგილზე, სადაც დღევანდელი თორია. ჩვენი აზრით ეს დებულება სწორი არ არის. დღევანდელ თორში თითქმის არავითარი ნიშანი არ არის, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს ამ ადგილზე ძველი დაბა თორის არსებობა. დღევანდელ თორში არის ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ახალი დროის ნაგებობაა(?) (ეკლესია ნამდვილად ძველია და ადრეფეოდალური ხანის ძეგლია) და იგი არ გამოდგება იმის დასადასტურებლად, რომ იქ არსებობდა ისტორიული თორი, ამიტომ ადრეული თორი უნდა ვეძებოთ სულ სხვა ადგილზე - დღევანდელი თორის მახლობლად. მასთან ახლოს 4-5 კილომეტრზე სამხრეთ-აღმოსავლეთის, მდინარე შავწყლის მარცხენა ნაპირზე არსებობს ძველი დარბაზების ნანგრევები. მათ საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უჭირავს და ეს ადგილი „ნადარბაზევად“ იწოდება. ნადარბაზევი ისტორიულ წყაროებში ბორჯომის ხეობაში მოხსენებული არ არის.

ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ძველი თორის ადგილმდებარეობის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: **„არამედ სადგერი არს მაგარი და შეუვალი, ეკლესია შემუსრული აღაშენა და შეამკო ხატი მისი მეფემან ვახტანგ. ან სად ამ სადგერსა ზეით, დასავლეთით არის დაბა თორი“.**

ამ ამონაწერიდან ირკვევა, ვახუშტი დაბა თორად გულისხმობს ნადარბაზევს და არა თორს, ვინაიდან ნადარბაზევი მდებარეობს სწორედ იმ ადგილზე, სადაც თორის არსებობას მიუთითებს ვახუშტი. რატომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ ისტორიული თორი იმ ადგილზე მდებარეობდა, სადაც ნადარბაზევია. იგი მდებარეობს ახალი თორიდან აღმოსავლეთით 5 კილომეტრში. ნადარბაზევში თითქმის ექვს კვადრატულ კილომეტრზე ერთმანეთისგან არც თუ ისე დაშორებით არსებობს მრავალი ნანგრევი. ალბათ ამ ნანგრევებზე ძველი ცალცალკე დასახლებული პუნქტი არსებობდა და მათ მჭიდრო კავშირი ექნებოდათ ერთმანეთთან. აქ შენობები აშენებული ყოფილა ლოდებისგან, შენებისთვის არ არის გამოყენებული დუღაბი, ყველა შენობა დარბაზის ტიპისაა, ოთახებს ერთი მეორეში გასასვლელი და მეზობელ შენობებს საერთო კედელი აქვს. ამრიგად რამდენიმე შენობა ქმნის ერთ მთლიან კომპლექსს. ნანგრევების განაპირას დგას ერთნავიანი საკმაოდ მოზრდილი ეკლესია. ამ ეკლესიის ახლოს 500-600 მეტრის მანძილზე მოსახლეობის კიდევ ერთი ჯგუფია, ისეთივე ტიპის, როგორიც ჩვენ მიერ აღწერილი ნადარბაზევის ნაგებობებია იმ განსხვავებით, რომ აქ უკეთესად არის დაცული კონუსის ფორმის სათავსები“.

ასეთია წიგნის ავტორის ეს მეტად საინტერესო მოსაზრება, რომელიც ლოგიკურია და ვფიქრობ ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან.

ისტორიკოსი ლევან ბერძენიშვილი თავის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ „ნადარბაზევში“ ყურადღებას იპყრობს ორი-სამი გალავნიანი ნასახლარი კომპლექსი, შესანიშნავი დარნები და ქვის დარბაზები. ზოგიერთი გათხრილი კომპლექსი არქეოლოგ გ. ლომთათიძის მიერ VI-Xსს არის დათარღებული. ამავე პერიოდიდან უნდა იყოს აქაური ეკლესიები, ქვის კონუსური დარბაზების მშენებლობა, რომლებიც ხის გვირგვინიანი დარბაზების მიბაძვით უნდა იქმნებოდეს, მართლაც უნიკალურია. საქართველოში არც ერთ მხარეში ქვის გვირგვინიანი დარბაზები ასე მრავლად არ შემორჩენილა, როგორც თორში, სადაც ისინი წინაფეოდალური ხანდან მოყოლებული VIII-X-ს გვხვდებოდა. ეს განპირობებული იყო მეგალითური მშენებლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით, რაც თავის მხრივ ადგილობრივ გეოლოგიურ თავისებურებას ემყარებოდა. ვულკანური წარმოშობის ანდეზიტური ბაზალტური ქანები აქ შედარებით სწორი ზედაპირის მქონე ლოდებად იშლებოდა, ეს კი ძველთაგანვე ნერგავდა მშრალი წყობით მშენებლობის ტექნიკას. თორში გვირგვინიან-ერთდონიანი ქვის დარბაზების სხვადასხვა ტიპები იყო გავრცელებული და თითქმის ყოველ ნასახლარის აუცილებელ კომპონენტს შეადგენდა.

ძველი თორი და „ნადარბაზევი“ ბევრ საინტერესო აღმოჩენას გვპირდება. საჭიროა არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, რომელიც ბევრს საიდუმლოებას ახდის ფარდას..

თორი არქეოლოგებს ელოდება.

თამაზ ჩიკვაიძე

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „ბორჯომი“ №№22,23,24

პოეზიის კუთხე

ამ ლექსსაც დავაწერე n - 100

ამ ლექსსაც დავაწერე n-100
და მწყობრი რითმებით შევავსე თასი,
ჩემს ფარულ მეტოქესთან გადაველ ალავერდი,
გულში მოვილოცე ზარზმა და ალავერდი.
ყველას მივულოცე დღე ნათელ-მზიანი,
ვისურვე არავის მოსვლოდეს ზიანი,
ეკალს ვერ ეხაროს, ხარობდეს იანი,
სიმღერის სურვილი არ იყოს გვიანი.
ფესვიდან მოისპოს ნარ-ეკალ-ბარდები,
მსურს ყველას ეზოში ხარობდეს ვარდები,
სენ-დარდიანებმა, დაკარგონ დარდები,
დახშული სარკმლიდან გასწიონ ფარდები.
ისმოდეს სიმღერა, ტკბილი და ნაზი,
მტკენებს ვერ იჭერდეს, ხარობდეს ვაზი,
გამრავლდეს გოგონა და გამრავლდეს ვაჟი,
კაცურ კაცს ნამუსიანს დაედოს ფასი.
მინდა, რომ ყოველდღე პატარა ჩნდებოდეს,
ხელოსნის საზრუნავი აკვნები ხდებოდეს,
კუთვნილი ცხოვრება სიცოცხლით ტკბებოდეს,
სამშობლოს ორგული დარდისგან კვდებოდეს.

ცხელ გულზე...



გაილია გული დარდით,
ცრემლმაც დაწვა თვალის უპე,
ახლოვდება ის წუთები,
შენ რომ ღმერთთან დაიგულე-
მაშ ზეციდან ანუგეშე,
დატანჯული შენი დედა,
ბუნებას წინ ვინ აღუდგეს?
ასე იყო უფლის ნება.
რა ვაჟკაცი, რა ტანადი,
თვალით, გულით გასახარი,
ორმოცი დღე მოახლოვდა,
ახლობლების უნახავი...
ცის კიდეზე დაგიგულებს,
ვისაც შენთვის ცრემლი ცვივა,
გაამხნევე ციდან, თორემ
აქ მიწაზე მართლა ცივა.
შენს ახლობლებს ძალა მიეც,
რომ ირწმუნონ უკვდავება,
მიწა ბრუნავს, ბუნებაში,
არაფერი იკარგება.

იზო სარქისიანი.

თვითნასწავლი მხატვარი მუზეუმში...

მუზეუმების საერთაშორისო დღეს, 18 მაისს, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები საზეიმო ვითარებაში შეხვდნენ. მართალია, წლის ნებისმიერ დროს მოვლილ-დასუფთავებულია მუზეუმის ეზო თავისი უნიკალური ქვისა თუ თიხის ექსპონატებით, მაგრამ 18 მაისის შესახვედრად სულ სხვანაირად, სხვა სიამაყის გრძნობით ვეფერებოდით და ვასუფთავებდით ჩვენი ღირსეული წინაპრების შექმნილ სამეურნეო თუ რელიგიურ ნივთებს.

ამ ბოლო წლებში მუზეუმმა შესანიშნავ ტრადიციად აქცია ფოიეში სახალხო დათვალიერებისათვის მოაწყოს ხეობელი მხატვრების და სხვა ხელოვნების დარგის ადამიანთა ნამუშევრების გამოფენა.

ამ დღესთან დაკავშირებით, ერთ-ერთი ასეთი გამოფენა მივუძღვენით ბალანთელი ახალგაზრდა, თვითნასწავლი მხატვრის, **ავთანდილ მაღრაძის** ნამუშევრებს.

ა. მაღრაძე დაიბადა 1995 წელს სოფელ ბალანთაში. ხატვის ნიჭი ჯერ კიდევ 4-5 წლის ასაკში აღმოაჩნდა, მაგრამ ბედის მწარალმა ცუდი ბავშვობა არგუნა პატარა ავთოს. 1990-იანი წლების სიდუხჭირის გამო, სახატავ ფურცლებსა და ფერად ფანქრებზე საუბარიც კი ზედმეტი იყო, მისთვის ისიც დიდი ბედნიერება გახლდათ თუ პატარა ფურცლის ნაგლეჯს იპოვიდა და მასზე რაიმეს დახატავდა. მისი ბავშვური მუზა მულტფილმების გმირები იყვნენ.

ბალანთის საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. უნივერსიტეტი დაამთავრა 2018 წელს. მისთვის სამსახური შეუთავაზებიათ შედარებით უკეთეს ადგილებზე, მაგრამ მან არ უღალატა მამა-პაპათა საძვალეებს, დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და იქვე, საჯარო სკოლაში, ხელოვნების მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

ა. მაღრაძე სამსახურისა და საოჯახო საქმეების შემდეგ, თავისუფალ დროს ზეთის საღებავებით ტილოზე ხატავს როგორც პორტრეტებსა და ნატურმორტებს, ისე ბუნების სხვადასხვა პეიზაჟებს.

თვითნასწავლმა მხატვარმა მუზეუმში გამოსაფენად მოიტანა რამდენიმე ფერწერული ტილო, მათ შორის შესრულების მაღალი ხელოვნებითა და ფერთა შერჩევის სიუხვით გამოირჩევა ინდურ-სპარსული მოსიყვარულე წყვილი, ნატურმორტი იები და მინდვრის ყვავილები, სტიქიასთან მებრძოლი ხომალდი, მზესუმზირა და ფუტკარი, ბეღურები და სხვა...

ფერწერულმა ტილოებმა დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ვუსურვოთ ახალგაზრდა ინტელიგენტს იმ დიდი სურვილების ასრულებას, რომელსაც ჰქვია თავისი მშობლიური სოფლისა და კუთხის აღდგენა იმ დონეზე, რომ იქიდან ახალგაზრდობა კი არ მიდიოდეს, პირიქით - წასულები სიხარულით ბრუნდებოდნენ თავიანთ მამა-პაპათა ნაცხოვრებ ადგილებზე.

ალგი ლომიძე

მიშიკო ოგანეზოვის გახსენება

შვილის გარდაცვალების სიმწარეს ანალოგი არ აქვს ამ ქვეყანაზე. შვილი არ უნდა უკვდებოდეს დედას. ვაი, რომ უძლურები ვართ, ვაი, რომ ვერ და არ ძალგვიძს ვმართოდ ცხოვრება ისე, როგორც მოგვესურვება, როდის და რა ფორმით გვეწვევა ის, არავინ იცის...

23 ივნისს შენი დაბადების დღეა, მიშო, ჩვენო უკვე დიდო ბიჭო... წელს 37 წლის გახდებოდი და აღარ გვყავხარ უკვე მეთვრამეტე წელია. და რა შეიცვალა მის მერე, არც არაფერი, დრო ვერ კურნავს ჭრილობებს, ვერაფერი ავსებს უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს. არ აქვს მნიშვნელობა, როგორი იქნებოდა შენი ცხოვრება, მთავარია, რომ ჩვენს გვერდით იქნებოდი, მოგეფერებოდით, ვიქნებოდით ერთი დიდი ოჯახი დანაკლისის გარეშე - ახლა მარტო მწარე ოცნებაღა შეგვიძლია, შენს სულზე ლოცვა და ჩუმი ტირილი. ასეთ დროს ისეთი უსუსური და უძლური ხარ ადამიანი, რომ მხოლოდ ერთი სურვილი გრჩება, ნეტა ნულარ მოუკვდება ნურცერთ დედას თავის შვილი...

შენი ოჯახი

განახლებული ბიბლიოთეკა მკითხველს შემოდგომიდან მიიღებს

ბორჯომის საბავშვო ბიბლიოთეკა 1946 წელს გაიხსნა. გახსნის შემდგომ ბიბლიოთეკაში ერთგვარი კოსმეტიკური რემონტი მხოლოდ 1975 წელს ჩატარდა. მას შემდეგ 47 წელი გავიდა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ბიბლიოთეკაში მიმდინარე წლის აპრილიდან მასშტაბური სამუშაოების ჩატარება დაიწყო. შეიღებება და მოპირკეთდება შენობის გარე ფასადი, შეიცვლება სახურავი. გარემონტდება სამკითხველო დარბაზი და ნიგნსაცავი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამდენი წლის მანძილზე, სამწუხაროდ, ბიბლიოთეკაში დაარსებიდან დღემდე არ იყო სველი წერტილი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში კი ეს პრობლემაც მოგვარდება. საბავშვო ბიბლიოთეკაში დაახლოებით 20 000 წიგნი აღირიცხება, რომელთა ნაწილი და იქ არსებული ინვენტარიც ამ ეტაპზე მიმდინარე სამუშაოებიდან გამომდინარე ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ინახება. როგორც ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა ქალბატონმა **ნაირა ამანათაშვილმა** ჩვენთან საუბარში განაცხადა, ბიბლიოთეკაში სამუშაოები ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს და ივლისის ბოლოსთვის დასრულდება. შემოდგომიდან კი ბიბლიოთეკა თავის ერთგულ მკითხველებს უკვე განახლებულ შენობაში უმასპინძლებს.

ნაბო მელიქიძე

გრძელდება ნაყოფიერი თანამშრომლობა

ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში და ბორჯომის მუნიციპალიტეტი აგრძელებს ნაყოფიერ თანამშრომლობას.

თანამშრომლობის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ქართული ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელის **მარინა გელაშვილის** მიერ განხორციელებულ საჯარო ვირტუალურ გაკვეთილში მონაწილეობისთვის, ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები და მათი მასწავლებელი **ლია გულიკაშვილი,** ქართველი ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი საჩუქრებით საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ფერაძემ,** საკრებულოს წევრებმა და მერის მოადგილემ **იოსებ რაზმაძემ** დააჯილდოვეს.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიება ორ უმნიშვნელოვანეს თარიღს ეძღვნებოდა - შოთა რუსთაველის იერუსალიმში ჩაბრძანების 760 წლისთავს და ქართული სამეცნიერო ექსპედიციის მიერ ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკის აღმოჩენის 60 წლისთავს.

ახალდაბის სამოქალაქო აქტივიზმის გენდერმედიაცენტრში ტრენინგები ახალგაზრდებისათვის

ახალდაბის მედიაკაფე „ლუტრეზი“-ში, სადაც „ფონდი ტასო“-ს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „სამოქალაქო აქტივიზმის გენდერმედიაცენტრი“ ფუნქციონირებს, კიდევ ერთი სამდღიანი ტრენინგი გაიმართა. დედაქალაქიდან მოწვეულმა ტრენერმა, პროფესორმა ნანა ქათამაძემ ახალგაზრდებს გენდერის, ლიდერობის და სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ საინტერესო პრეზენტაციები და აქტივობები შესთავაზა.

გენდერული როლები და გენდერული სტერეოტიპები, ფემინიზმი/ანტიფემინიზმი/თანასწორობის ფემინიზმი, ფემინისტი კაცები, გამოჩენილ ქართველ ქალთა ისტორიები, ქალები და ლიდერობა, ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები - ეს იმ თემების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც შეხვედრებზე განხილეს.

ქალბატონი ნატოს შედგენილ პროექტში მოცემულ კითხვებზე მონაწილეთა პასუხები კი იყო არაერთგვაროვანი. მათ გაიგეს - „მამაკაცები არ ტირიან“ - შეხედულება წარმოდგენილია სქესით თუ გენდერით?! „ქალი აჩენს ბავშვს“ - განპირობებულია გენდერით თუ სქესით?!

სემინარზე მნიშვნელოვანი დრო დაეთმო ფემინიზმის თემის განხილვას. მაინც, რატომ გვეშინია ფემინიზმის ასე? რა არის ფემინიზმის ცნებაში ისეთი, რაც ზოგიერთი ქალის აღშფოთებასაც კი იწვევს? როგორ დავანახოთ ჩვენს მშობლებს, ქმრებს, ცოლებს, მეგობრებს, ნათესავებს, მეზობლებს, კოლეგებს, შვილებს, რომ ფემინიზმი არ არის კაცების სიძულვილი და დევნა?

ტრენერმა ძალიან მარტივად და ლოგიკურად ახსნა ეს საკითხი, თავად ახალგაზრდების მონაწილეობით. მან მხოლოდ რამდენიმე კითხვა დაუსვა მსმენელებს და აღმოჩნდა, რომ ტრენინგის მონაწილე ყველა ახალგაზრდა ფემინისტი ყოფილა.

ტრენინგზე შედგა მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება გამოჩენილ ქალთა ისტორიებზე, ასევე ოჯახური ძალადობის თემაზე. დღის ბოლო ტრადიციულად დისკუსიებსა და შეჯამებებს ეთმობოდა.

მონაწილეებს გადაეცათ კითხვარები, რომელიც მოიცავს დაბაში გამოკითხვის ჩატარებას, სადაც უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს პასუხი - გსმენია თუ არა ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით? ძალადობის რა ფორმებია საზოგადოებაში გავრცელებული? (ფიზიკური, ფსიქოლოგიური), ექცევა თუ არა ყურადღება თანამდებობაზე დანიშვნის დროს სქესს? უნდა იყვნენ თუ არა ქალები პოლიტიკაში? აღნიშნული კითხვარის განხილვა მოხდება სამომავლოდ დაგეგმილ ტრენინგზე.

გვანცა ჩადუნელი (მოსწავლე, ტრენინგის მონაწილე): - გენდერული თანასწორობა დღესაც მტკივნეული თემაა გარკვეულ საზოგადოებაში და ხალხის ინფორმირება აღნიშნული საკითხების შესახებ, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია. საზოგადოებამ უფრო მეტი უნდა გაიგოს ამ თემებზე. მე პირადად, აქ ტრენინგებით ძალიან ბევრი რამ გავიგე და გავიაზრე ამ საკითხების მნიშვნელობა.

ნიკა კაპანაძე (მოსწავლე, ტრენინგის მონაწილე): - ტრენინგებზე გავიღრმავე ჩემი ცოდნა გენდერისა და სქესის შესახებ. მეტი გამოცდილება მივიღე, გუნდური მუშაობისას ყოველთვის სხვადასხვა აზრი იკვეთება ხოლმე. ვეთანხმები, რომ ქალბატონებთან ერთად, მამაკაცებმაც უნდა გაიზიარონ ყველა ვალდებულება.

იხა იანკარაშვილი

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თეოდორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru